ჩინური გავლენის ზრდა საქართველოს საბანკო სექტორში

ავტორები:

ანდრია საჯაია
საბა კვიჟინაძე
საბა ქართველიშვილი

ივნისი, 2026

სარჩევი

შესავალი 2

„ლიბერთი ბანკისა“ და „ბაზისბანკის“ მოკლე მიმოხილვა 2

„ლიბერთი ბანკის“ მნიშვნელობა საქართველოსთვის და საერთაშორისო გამოცდილება 4

- სამხრეთ აფრიკის შემთხვევა 5
- უზბეკეთის შემთხვევა 5
- ტანზანიის შემთხვევა 6
- ყაზახეთის შემთხვევა 6

ჩინეთის 2017 წლის კანონი სახელმწიფო დაზვერვის შესახებ და მისი გავლენა საქართველოს საბანკო სექტორზე 7

დასკვნა 10

ბიბლიოგრაფია 11

შესავალი

2026 წლის 16 აპრილს ჩინური კერძო კომპანიის, „ჰუალინგ ჯგუფის“ მფლობელობაში არსებულმა „ბაზისბანკმა“ ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის, „ლიბერთი ბანკის“ აქციების 95,99% შეიძინა. „ლიბერთი ბანკი“ წარმოადგენს სახელმწიფოს სოციალური ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან ნაწილს, რადგან ქვეყნის მასშტაბით სწორედ მას გააჩნია პენსიებისა და სოციალური დახმარებების გაცემის ექსკლუზიური უფლება და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ბანკი ემსახურება ასობით ათას პენსიონერს, სოციალურად დაუცველ მოქალაქესა და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას, რის შედეგადაც მის ხელში კონცენტრირებულია საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ფინანსური და პერსონალური მონაცემები.

„ლიბერთი ბანკის“ „ბაზისბანკთან“ შერწყმის შედეგად, ჩინური კერძო კომპანიის კონტროლის ქვეშ ექცევა დაახლოებით 2 მილიონამდე საქართველოს მოქალაქის ფინანსური, ბიომეტრიული და ქცევითი ინფორმაცია. ეს საკითხი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმ ფონზე, რომ ჩინეთის 2017 წლის „სახელმწიფო დაზვერვის შესახებ კანონი“ ჩინურ კომპანიებს ავალდებულებს, ითანამშრომლონ სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანოებთან და მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამის ორგანოებს გადასცენ მათ ხელთ არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია. მიუხედავად იმისა, რომ „ბაზისბანკი“ იურიდიულად კერძო ფინანსური ინსტიტუტია, ჩინეთის პოლიტიკურ სისტემაში სახელმწიფო და კერძო სექტორის გამიჯვნა ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს აღწეროს და გააანალიზოს, რა საფრთხეებს ქმნის საქართველოს ყველაზე მოწყვლადი მოსახლეობის ფინანსური და პერსონალური მონაცემების კონცენტრაცია ჩინური გავლენის ქვეშ მყოფ ბანკში. კვლევა ყურადღებას გაამახვილებს როგორც ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე, ასევე მონაცემთა სუვერენიტეტის, ეკონომიკური დამოკიდებულებისა და თანამედროვე ტექნოლოგიური კონტროლის რისკებზე.

„ლიბერთი ბანკისა“ და „ბაზისბანკის“ მოკლე მიმოხილვა

„ბაზისბანკი“ 1993 წელს დაარსდა, იგი საქართველოს ფინანსური სისტემის ჩარჩო-შეთანხმების პროგრამის ფარგლებში პირველი პარტნიორი ბანკი იყო, რომელიც „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა“ (European Bank for Reconstruction and Development) საქართველოს ფინანსური სექტორის განვითარების მიზნით შეიმუშავა. „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა“ და „ბაზისბანკს“ შორის პარტნიორობა 2007 წლიდან დაიწყო. 2008 წლის მაისიდან კი, EBRD „ბაზისბანკის“ 15%-იანი წილის მფლობელი გახდა (ბაზისბანკი, 2026).

2012 წელს „ბაზისბანკის“ აქციების საკონტროლო პაკეტისა და 90%-იანი წილის მფლობელი გახდა„ჰუალინგ ჯგუფი“, კერძო კონგლომერატი, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს ურუმჩიში, სინძიანის პროვინციაში. (ISET Policy Institute, 2015). 2014 წლის ბოლოს „ჰუალინგ ჯგუფმა“ თავისი წილი 92,78%-მდე გაზარდა. აღნიშნული გარიგება პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ჩინურმა კერძო კომპანიამ საქართველოში კომერციულ ბანკში მნიშვნელოვანი წილი შეიძინა. (აბაშიძე, 2021).

„ლიბერთი ბანკი“, ყოფილი „აგრომრეწვბანკი“ და ყოფილი „სახალხო ბანკი“, საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკია. მისი ფესვები უკავშირდება სახელმწიფო „აგრომრეწვბანკს“, რომელიც საბჭოთა პერიოდში სოფლის მეურნეობის სექტორს ემსახურებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1994 წელს, მოხდა მისი პრივატიზაცია და მას „საქართველოს აგრომრეწვბანკი“ეწოდა.

2002 წელს ბანკმა კიდევ ერთხელ შეეცვალა სახელწოდება და მას „საქართველოს სახალხო ბანკი“ დაერქვა. (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2025). ძველი საბჭოთა მემკვიდრეობის შედეგად, „სახალხო ბანკს“ გააჩნდა ფილიალების ყველაზე ფართო ქსელი, რის გამოც სწორედ ამ პერიოდიდან მოიპოვა სახელმწიფო პენსიებისა და სოციალური დახმარებების გაცემის ექსკლუზიური უფლება.

2009 წლის სექტემბერში ბანკის აქციების საკონტროლო პაკეტი (91.2%) ნიდერლანდებში რეგისტრირებულმა ერთობლივმა საინვესტიციო კომპანიამ Liberty Investments Holding B.V-მა შეიძინა, რომლის დამფუძნებლები საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძე და რუმინელი მილიარდერი დინუ პატრიჩიუ იყვნენ. ამავე პერიოდში ბანკმა შეეცვალა სახელი და საბოლოოდ დაერქვა „ლიბერთი ბანკი“ (Civil Georgia, 2009).

2017 წლის ოქტომბერში „ლიბერთი ბანკის“ ბენეფიციარი მფლობელი გახდა ნიდერლანდების სამეფოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული კომპანია European Financial Group B.V. აღნიშნული გარიგების უკან იდგნენ ბიზნესმენები: **ირაკლი რუხაძე** (რომელიც მანამდე ტელეკომპანია „იმედისა“ და „ბადრი პატარკაციშვილის აქტივების“ მმართველი იყო), **იგორ ალექსეევი და ბენ მარსონი**. (StrategEast, 2017).

2026 წლის 16 აპრილს კი, „ლიბერთი ბანკის“ აქციების 95,99% ჩინური კერძო კომპანიის, „ჰუალინგ ჯგუფის“ მფლობელობაში არსებულმა „ბაზისბანკმა“ შეიძინა. საქართველოს საფონდო ბირჟის მონაცემებით, „ლიბერთი ბანკის“ შესყიდვისთვის არასაბირჟო გარიგებების გზით 674,125,650 ლარი იქნა გადახდილი, რაც 2026 წლის 15 აპრილის მონაცემებით 251,539,421 აშშ დოლარს შეადგენდა. (საქართველოს საფონდო ბირჟა, 2026)

1993 ● ბაზისბანკი დაფუძნდა

1994 ● აგრომრეწვბანკი პრივატიზდა

2002 ● დაერქვა “სახალხო ბანკი”

2008 ● EBRD-მა შეიძინა 15%

2009 ● ბანკს ეწოდა “ლიბერთი ბანკი”

2012 ● ჰუალინგ ჯგუფმა შეიძინა 90%

2014 ● წილი გაიზარდა 92.78%-მდე

2017 ● ახალი ბენეფიციარი მფლობელი

16 აპრილი, 2026

ბაზისბანკმა შეიძინა ლიბერთის 95.99%

₾674.1 მლნ ($251.5 მლნ)

„ლიბერთი ბანკის“ მნიშვნელობა საქართველოსთვის და საერთაშორისო გამოცდილება

ოცი წლის განმავლობაში „ლიბერთი ბანკმა“ ფულადი გასაცემლების ოპერატიული, უწყვეტი და უსაფრთხო დარიგებისთვის შექმნა უპრეცედენტო და უნიკალური ფილიალების ქსელი:. დღეს ბანკის 400-ზე მეტი ფილიალი და 100-მდე მობილური სერვისცენტრი ემსახურება 1300-მდე სოფელსა და 64 მუნიციპალიტეტს. მათ შორის, 5 მუნიციპალიტეტში მხოლოდ „ლიბერთი ბანკს“ აქვს სერვისცენტრი, ხოლო 12 მუნიციპალიტეტში „ლიბერთი ბანკის“ გარდა წარმოდგენილია მხოლოდ თითო სხვა ბანკი. ის 1 100 სოფელი, რომელსაც დღეს „ლიბერთი ბანკი“ ემსახურება, უახლოესი რაიონული ცენტრიდან მინიმუმ 5 კილომეტრითაა დაშორებული. სპეციალურად გადამზადებული თანამშრომლები სახლში ვიზიტით ემსახურებიან 30 000-მდე მომხმარებელს, რომლებსაც ფიზიკურად არ შეუძლიათ ბანკში მისვლა ან ცხოვრობენ მაღალმთიან რეგიონებში (ლიბერთი ბანკი, 2022). მსგავსი ქსელის შექმნისა და შენარჩუნებისთვის საჭირო ხარჯები ნებისმიერი სხვა ბანკისთვის კომერციულად ნაკლებად მომგებიანი იქნება, რაც ართულებს „ლიბერთი ბანკთან“ კონკურენციაში შესვლას. შესაბამისად, საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს სადისტრიბუციო კონტრაქტებისთვის რეალურად მხოლოდ ერთი სიცოცხლისუნარიანი პარტნიორი ჰყავს. სწორედ ეს ქსელი გახდა „ჰუალინგ ჯგუფისთვის“ მიმზიდველი, რადგან იგი უზრუნველყოფს ლიკვიდურობის სტაბილურ ნაკადს, რომელიც მინიმუმ 1.7 მილიონი საქართველოს მოქალაქისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

LIBERTY

ფილიალი 400+	მობილური სერვისცენტრი 100-მდე	მუნიციპალიტეტი 64
მუნიციპალიტეტი მხოლოდ ლიბერთით 5	სოფელი მომსახურებაში 1300-მდე	მომხმარებელი საშინაო ვიზიტით 30,000-მდე

საქართველოში არსებული მოდელი, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო პენსიებისა და სოციალური დახმარებების განაწილებაზე ექსკლუზიური წვდომა უცხოური კაპიტალის კონტროლის ქვეშ მყოფ კერძო ბანკს აქვს, საერთაშორისო პრაქტიკაში შედარებით იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. საბანკო სისტემების უმეტესობაში მსგავსი ფუნქციები გადანაწილებულია სახელმწიფო სააგენტოებს, სახელმწიფო ბანკებს ან რეგულირებად კერძო ფინანსურ ინსტიტუტებს შორის, რომლებიც კონკურენტულ გარემოში ოპერირებენ.

სამხრეთ აფრიკის შემთხვევა

„ლიბერთი ბანკის“ ქართული მოდელი, რომლის ფარგლებშიც ერთ კონკრეტულ ბანკს პენსიებისა და სოციალური დახმარებების გაცემაზე მონოპოლიური მდგომარეობა აქვს, ამჟამად უნიკალურ შემთხვევას წარმოადგენს. თუმცა, მასთან ყველაზე ახლოს სამხრეთ აფრიკის მოდელი დგას.

2012 წელს სამხრეთ აფრიკის სოციალური უზრუნველყოფის სააგენტომ კერძო კომპანიასთან „ნაღდი ფულის გადახდის სერვისები“ (Cash Payment Services/CPS) ქვეყნის მასშტაბით სოციალური უზრუნველყოფის გადახდების ადმინისტრირებაზე ექსკლუზიური კონტრაქტი გააფორმა. „ლიბერთი ბანკის“ მსგავსად, CPS-მა ტენდერში გაიმარჯვა უნიკალური ინფრასტრუქტურის არსებობის გამო. კომპანია იყენებდა ბიომეტრიულ გადახდის სისტემას, რომელი ინტერნეტი სადაელექტროენერგიის გარეშე ფუნქციონირებდა, რაცმას ქვეყნის ყველაზე შორეულ და ღარიბ რეგიონებამდე მომსახურების მიწოდების შესაძლებლობას აძლევდა. შედეგად, სახელმწიფო მთლიანად დამოკიდებული გახდა ერთ კერძო კომპანიაზე, რომელიც სოციალური დახმარებების დისტრიბუციას ახორციელებდა. მოგვიანებით, CPS-ის მშობელი კომპანია Net1 დაადანაშაულეს მილიონობით მოქალაქის პირადი და ფინანსური მონაცემების ექსპლუატაციაში, რათა მათთვის მაღალი საპროცენტო განაკვეთით სესხები გაეცათ და სხვადასხვა სახის დაზღვევის პროდუქტი მიეყიდათ (McKune, 2017).

2018 წელს სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლომ „ნაღდი ფულის გადახდის სერვისებისთვის“ კონტრაქტის გაგრძელების ნებართვის გაცემა აკრძალა (South Africa: Constitutional Court, 2018). ამის შემდეგ სამხრეთ აფრიკა სოციალური დახმარებების გაცემის ჰიბრიდულ რეჟიმზე გადავიდა, რამაც მოკლევადიანი სირთულეები და გარკვეული ქაოსი გამოიწვია ინფრასტრუქტურული გაუმართაობის გამო.

უზბეკეთის შემთხვევა

გარკვეული პარალელის გავლება შესაძლებელია ასევე უზბეკეთის მაგალითთანაც. 2017 წელს „უზბეკეთის სახალხო ბანკმა“ ოფიციალურად მოიპოვა პენსიებისა და სოციალური დახმარებების გაცემის ექსკლუზიური უფლება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ბანკი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფინანსური ინსტიტუტი იყო და არა კერძო ბანკი. შესაბამისად, არსებული სისტემა სრულად სახელმწიფო კონტროლის ქვეშ ფუნქციონირებდა და ბანკიც სახელმწიფოს სოციალური ინფრასტრუქტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. თუმცა, 2022 წლიდან, უზბეკეთმა უარი თქვა ერთბანკიან მოდელზე და პენსიებისა და სოციალური დახმარებების გაცემა ტენდერების საფუძველზე სხვადასხვა კომერციულ ბანკსა და სპეციალიზებულ ორგანიზაციაზე გადაანაწილა (Kun.uz, 2021).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ამჟამად ერთადერთი ცნობილი შემთხვევაა, როდესაც ჩინური კერძო კომპანიის საკუთრებაში არსებული

ბანკი ფლობს სახელმწიფო პენსიებისა და სოციალური დახმარებების გაცემის ექსკლუზიურ უფლებას - ანუ სრულ კონტროლს იმ ინფრასტრუქტურაზე, რომლის გარეშეც ასობით ათასი მოქალაქე ვერ მიიღებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფინანსურ გასაცემლებს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩინეთი სისტემატურად აფართოებს საკუთარ გავლენას განვითარებადი ქვეყნების ფინანსურ სისტემებზე.

ტანზანიის შემთხვევა

ტანზანიაში ჩინელი ინვესტორების მიერ დაფუძნებული „ჩინეთის კომერციული ბანკი“ 2015 წელს ამოქმედდა და ხშირად მოიხსენიებოდა როგორც ჩინური კაპიტალით შექმნილი პირველი კერძო აფრიკული ბანკი. ბანკის ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩინეთში იყო წარმოებული „ჰუავეის“ დახმარებით. „ჰუავეის“ მონაწილეობა მსგავს კრიტიკულ ინფრასტრუქტურაში განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს საერთაშორისო უსაფრთხოების ექსპერტებში, ვინაიდან კომპანია არაერთი დასავლური სახელმწიფოს მიერ, მათ შორის აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოსა და ევროკავშირის ქვეყნების მიერ კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებისთვის პოტენციურ საფრთხედ არის მიჩნეული. სწორედ ამ მიზეზით, კომპანია რიგ დასავლურ ქვეყნებში გამოირიცხა 5G ქსელების განვითარებასა და გამოყენებაში მონაწილეობისგან. ტანზანიას, ისევე როგორც სუბსაჰარის აფრიკის დიდ ნაწილს, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პრობლემები აქვს, რის გამოც ჩინური კაპიტალიც ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად გამოიყენება. თუმცა, ამ ფინანსური რესურსების უმეტესი ნაწილი სესხის ფორმით გაიცემა, რაც ჩინეთს საშუალებას აძლევს ტანზანიასთან ჩამოაყალიბოს ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულება (Wamboye, 2023).

ყაზახეთის შემთხვევა

ყაზახეთში „ჰალიქ ბანკი“ (Halyk Bank) ერთ-ერთ დომინანტურ უნივერსალურ ბანკს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ბანკი ძირითადად ყაზახური კერძო კაპიტალის კონტროლის ქვეშ რჩება, მისი ყოფილი შვილობილი კომპანია „ალთინ ბანკი“ (Altyn Bank) დაკავშირებულია ჩინურ სახელმწიფო ფინანსურ ჯგუფთან „სითიქ გრუფი“ (Citic Group), რომელიც ბანკის საკონტროლო წილს ფლობს. ყაზახეთის საბანკო სექტორში მსგავსი გავლენის არსებობა ჩინეთს უმარტივებს „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის ფარგლებში გამოყოფილი ფინანსური რესურსების ტრანსსასაზღვრო მოძრაობის ხელშეწყობას. (Amijonov et al, 2019)

ჩინეთის 2017 წლის კანონი სახელმწიფო დაზვერვის შესახებ და მისი გავლენა საქართველოს საბანკო სექტორზე

„ლიბერთიბანკი“ საქართველოსთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტიტუტია, რადგან იგი ფლობს პენსიებისა და სოციალური დახმარებების გაცემის ექსკლუზიურ უფლებას. შესაბამისად, ბანკი ემსახურება დაახლოებით 888,000 პენსიონერს (მათ შორის სპეციალური კატეგორიის პენსიონერებს: ყოფილ დეპუტატებს, გენერლებს, სამხედრო და სპეცსამსახურების ყოფილ წარმომადგენლებს, ასევე სხვა სახელმწიფო სტრუქტურების ყოფილ მაღალჩინოსნებს), 700,000-ზე მეტ სოციალური დახმარების მიმღებს და ფლობს საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 40%-ის პერსონალური მონაცემებს. „ბაზისბანკთან“ შერწყმის შედეგად ეს ციფრი დაახლოებით 55%-მდე გაიზრდება. შედეგად, ჩინური კერძო კომპანიის მფლობელობაში აღმოჩნდება დაახლოებით 2 მილიონამდე საქართველოს მოქალაქის შესახებ ისეთი ინფორმაცია როგორიცაა: პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, ინტერნეტის IP მისამართი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ფინანსური მონაცემები, ფინანსური დეკლარაციები, საგადასახადო ნომერი, ბიომეტრიული მონაცემები, ქცევითი მონაცემები და სხვა.

ჩინეთის მიერ 2017 წელს მიღებული „სახელმწიფო დაზვერვის შესახებ კანონის“ მე-7 მუხლი ყველა ჩინურ ორგანიზაციას ავალდებულებს, მხარი დაუჭიროს სახელმწიფო დაზვერვის საქმიანობას. ხოლო, მე-14 მუხლი სადაზვერვო სააგენტოებს ანიჭებს უფლებამოსილებას, მოითხოვონ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისგან, ორგანიზაციებისგან ან მოქალაქეებისგან საჭირო მხარდაჭერა, დახმარება და თანამშრომლობა. ჩინურ კერძო კომპანიებს ამ მოთხოვნებზე უარის თქმის უფლება არ გააჩნიათ. ამ მოთხოვნების შესრულების აუცილებლობა, ცხადია, ვრცელდება ჩინური კერძო კომპანიის „ჰუალინგ ჯგუფის“ დაქვემდებარებაში მყოფ „ბაზისბანკზე“, რომელიც ამიერიდან საქართველოს მესამე ყველაზე დიდი ბანკი ხდება. „ბაზისბანკში“ კონცენტრირებული იქნება საქართველოს საბანკო სექტორის მთლიანი აქტივების 10.53%, სესხების საერთო პორტფელის 10.9% და დეპოზიტების საერთო პორტფელის 11.5%. საქართველოს ეროვნული ბანკის განმარტებით, საბანკო სექტორის მსგავსი კონცენტრაცია სახიფათოდ მიჩნეულ 15%-იან ზღვარს არ აღწევს და, შესაბამისად, სისტემურ რისკს არ წარმოადგენს. თუმცა, მთავარი გამოწვევა არა მხოლოდ მოცულობაში, არამედ ამ კონცენტრაციის ბუნებაში მდგომარეობს: ჩვეულებრივი კომერციული ბანკისთვის 10%-იანი საბაზრო წილი შესაძლოა სისტემური საფრთხის საფუძველი არ იყოს, მაგრამ ბანკი, რომელიც ფლობს პენსიებისა და სოციალური დახმარებების გაცემის ექსკლუზიურ ინფრასტრუქტურას და ამავდროულად ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ფინანსურ და პერსონალურ მონაცემებს აკონტროლებს, სრულიად განსხვავებულ კატეგორიას მიეკუთვნება. შესაბამისად, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ რაოდენობრივ მაჩვენებლებს, არამედ კონცენტრაციის სპეციფიკურ ხასიათს (ტყეშელაშვილი, 2026).

„ჰუალინგ ჯგუფის“ შტაბ-ბინა მდებარეობს ურუმჩიში, სინძიანის პროვინციაში, რეგიონში, რომელსაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისთვის განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ამ რეგიონის მნიშვნელობა ჩინეთისთვის კიდევ უფრო იზრდება მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და კულტურულ-ეთნიკური კავშირების გამო ჩინეთის დასავლეთ საზღვრებს მიღმა მცხოვრებ ხალხებთან. ჩინეთი სინძიანს, ტიბეტთან და ტაივანთან ერთად განიხილავს, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს საკუთარი ტერიტორიული მთლიანობისა და

სახელმწიფო სუვერენიტეტის კონტექსტში. გარდა ამისა, „სარტყელისა და გზის ინიციატივის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახმელეთო დერეფანი, რომელიც ჩინეთს ევროპასთან აკავშირებს, სწორედ ამ რეგიონზე გადის. (Bitibarova, 2019). სინძიანის პროვინცია წარმოადგენს ჩინეთის განსაკუთრებული პოლიტიკური კონტროლის ქვეშ მყოფ რეგიონს. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებათა დამცველი ჯგუფების ანგარიშების მიხედვით, რეგიონში უიღური და სხვა თურქული წარმოშობის მუსლიმი მოსახლეობის მიმართ აღინიშნება სისტემური მეთვალყურეობა, მასობრივი დაკავებები და პოლიტიკური რეპრესიები. შესაბამისად, რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა იმყოფება მუდმივი სახელმწიფოებრივი და ტექნოლოგიური სოციალური კონტროლის პირობებში.

გარდა ამისა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ „ჰუალინგ ჯგუფის“ დამფუძნებელი მი ენჰუა იყო ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს წევრი. ეს ორგანო კომუნისტური პარტიის ეგიდით მოქმედებს და მასში, როგორც წესი, მხოლოდ პარტიის მიერ ნდობით აღჭურვილი პირები ხვდებიან. მი ენჰუა წარმოადგენს ჩინეთის ერთ-ერთ უმდიდრეს მეწარმეს და ამავდროულად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს წევრს, რაც მას ანიჭებს როგორც ეკონომიკური გავლენის, ისე პარტიულ-ინსტიტუციური სიახლოვის ორმაგ პოზიციას.

მიუხედავად იმისა, რომ „ბაზისბანკი“ იურიდიულად კერძო ინსტიტუტია, იგი მაინც „ჰუალინგ ჯგუფის“ მფლობელობაში რჩება, ხოლო თავად „ჰუალინგ ჯგუფი“ იმართება ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან მჭიდროდ დაკავშირებული მი ენჰუას მიერ. ჩინეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემაში კერძო კომპანიებსა და ჩინეთის სახელმწიფოს შორის განსხვავება ხშირად ბუნდოვანია. შესაბამისად, არსებული კონტროლის ფონზე, განსაკუთრებით სტრატეგიულად მნიშვნელოვან სექტორებში ან სენსიტიურ რეგიონებში მოქმედი კომპანიები აქტიური მონიტორინგის ქვეშ არიან მოქცეულნი და ჩინეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის აქტიური გამტარები არიან (Hoffman, 2019).

მსოფლიოს ყურადღება ხშირად ფოკუსირდება მხოლოდ ხილულ და ფართოდ ცნობილ ტექნოლოგიებზე, როგორიცაა კამერები, სახის ამომცნობი სისტემები და სხვა მსგავსი ინსტრუმენტები. თუმცა, რეალურად უფრო მნიშვნელოვანი გამოწვევა ხშირად ყურადღების მიღმა რჩება. მთავარი საფრთხე არა მხოლოდ სახის ამომცნობი კამერებია, არამედ მონაცემთა მასშტაბური შეგროვება, მათი ალგორითმული სინთეზი და ანალიზი, რაც ჩინეთის ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, არა მხოლოდ მონიტორინგი გაუწიოს სისტემის სხვადასხვა დონეზე არსებულ პროცესებს, არამედ განახორციელოს ალგორითმული პროგნოზირება და იმოქმედოს პოტენციური რისკების პრევენციის მიზნით..(Peterson, 2021).

რეალურად სწორედ ამ საფრთხის წინაშე დგას საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილიც, რომელთა ბიომეტრიული და სხვა მონაცემები ამიერიდან ჩინეთის დაზვერვისთვისაც გახდება ცნობილი. სადაზვერვო სააგენტოებისათვის ერთი კონკრეტული საქართველოს მოქალაქის შესახებ ყოვლისმომცველი ინფორმაცია შეიძლება მარტო აღებული პრიორიტეტს არ წარმოადგენდეს, თუმცა 2 მილიონამდე ადამიანის ერთობლივი მონაცემთა ბაზა სტრატეგიული სადაზვერვო აქტივია, რომ არაფერი ვთქვათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის „შეუზღუდავი“ სტრატეგიული პარტნიორობის მასშტაბზე, რომელიც საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უმთავრეს გამოწვევად რჩება. სადაზვერვო სააგენტოები ფინანსურ მონაცემებს პრიორი-

ტეტს ანიჭებენ, რადგან ისინი ინდივიდის ცხოვრებისა და დაუცველობის ყველაზე ზუსტ გზამკვლევს წარმოადგენენ. მაგალითად 2015 წელს აშშ-ის პერსონალის მენეჯმენტის ოფისის ბაზებზე ჰაკერული თავდასხმა, რომელიც ჩინეთის მხარდაჭერილ აქტორებს მიეწერება, ფოკუსირებული იყო აშშ-ის მოქალაქეების ფინანსური ინფორმაციის მოპოვებაზე. მსგავსი ინფორმაცია საშუალებას აძლევს უცხო ქვეყნის სადაზვერვო სააგენტოს, რომ შეადგინოს ქცევითი რუკა, სხვადასხვა პერსონალური ინფორმაციის გაერთიანებით, რომელიც მაღალი ღირებულების მქონე სამიზნეების, ან სამიზნეთა ჯგუფის ქცევითი, ფინანსურ ან სხვა ნებისმიერი სახის სენსიტიური ინფორმაციის გამოაშკარავებას ითვალისწინებს. (Cheng, 2019)

ქართული საბანკო სექტორის ჩინური გავლენებით მზარდი კონცენტრაცია წარმოშობს რისკებს არა მხოლოდ საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი მოცულობის პირადი ინფორმაციის ფლობის თვალსაზრისით, არამედ ქმნის ლოგისტიკურ და სისტემურ საფრთხეებსაც. ასობით ათასი საქართველოს მოქალაქის სოციალური დახმარება, პენსია თუ ხელფასი ამიერიდან შესაძლოა დამოკიდებული გახდეს ჩინური კორპორაციული სტრუქტურების გადაწყვეტილებებსა და მათ მოქმედების დისკრეციაზე. მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად სავარაუდოა ჩინურმა კორპორაციებმა ხელოვნურად შექმნან პრობლემები, მათ მაინც ექნებათ შესაბამისი ტექნიკური და ინსტიტუციური შესაძლებლობა. გარდა ამისა, „ლიბერთი ბანკი“ ემსახურება დაახლოებით 60 ათასამდე მცირე და საშუალო ბიზნესს, ხოლო ჩინეთის სახელმწიფო დაზვერვის შესახებ კანონის მოქმედება ვრცელდება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე.

კრიტიკულ რისკს წარმოადგენს ასევე ამ მონაცემების რუსეთის ფედერაციასთან გაზიარების ან მისი არაპირდაპირი ხელში ჩაგდების პოტენციალი. პეკინსა და მოსკოვს შორის არსებული „შეუზღუდავი“ სტრატეგიული პარტნიორობის გათვალისწინებით, ჩინეთის დაზვერვის მიერ შეგროვებული მონაცემების დაცულობა რუსეთის დაზვერვის სტრუქტურებისგან დამატებით კითხვებს აჩენს. 2023 წელს „რადიო თავისუფლების“ მიერ უკრაინაში ჩატარებულმა ჟურნალისტურმა გამოძიებამ აჩვენა, რომ ჩინეთში წარმოებული სათვალთვალო კამერებიდან მიღებული ვიდეომასალა, რომელიც იმავე ეროვნული დაზვერვის შესახებ კანონით რეგულირდება, პირდაპირ უკავშირდებოდა რუსეთის დაზვერვასთან დაკავშირებულ სერვერებს. (Ovsyaniy, 2023)

დასკვნა

ჩინური კერძო კომპანიის „ჰუალინგ ჯგუფის“ მფლობელობაში არსებული „ბაზისბანკის“ მიერ საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი და მნიშვნელოვანი ბანკის, „ლიბერთი ბანკის“, შეძენა მაღალი რისკის შემცველია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის. კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში არსებული მოდელი, სადაც სოციალური დახმარებისა და პენსიების დისტრიბუცია ერთ ბანკშია კონცენტრირებული, საერთაშორისო პრაქტიკაში იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. განხილულმა საერთაშორისო მაგალითებმა ცხადყო, რომ მსგავსი კონცენტრაცია ხშირად წარმოშობს როგორც მონაცემთა ექსპლუატაციის, ისე ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულების რისკებს.

საქართველოს შემთხვევა ამ კონტექსტში განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან საუბარი არ არის მხოლოდ საბანკო ბაზრის ნაწილობრივ კონტროლზე. აღნიშნული კონცენტრაცია სოციალური სტაბილურობისთვისაც პოტენციურად საფრთხის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს, მათ შორის ნებისმიერი მიზანმიმართული ან სისტემური ხარვეზის შემთხვევაში.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ თანამედროვე საფრთხე მხოლოდ პერსონალური მონაცემების შესაძლო გაჟონვა არ არის. გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს მონაცემთა მასობრივ შეგროვებას, მათ ალგორითმულ ანალიზს და ქცევითი პროფილების ფორმირების შესაძლებლობას. სოციალური დახმარებების, პენსიებისა და ათიათასობით მცირე და საშუალო ბიზნესის საბანკო მომსახურების ერთ სისტემაზე დამოკიდებულება ზრდის რისკს, რომ კრიტიკულ სიტუაციებში ფინანსური ინფრასტრუქტურა პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად იქცეს.

დამატებით რისკს წარმოადგენს ჩინეთსა და რუსეთს შორის არსებული სტრატეგიული თანამშრომლობა, რაც აჩენს კითხვებს საქართველოში კონცენტრირებული მონაცემების უსაფრთხოებისა და მათი შესაძლო არაპირდაპირი გამოყენების შესახებ. საბოლოოდ, საქართველოსთვის აუცილებელია უფრო მკაფიო რეგულაციების, მონაცემთა დაცვის მექანიზმებისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება, რათა მოქალაქეთა პირადი მონაცემების ექსტრაპოლაცია და ბოროტი მიზნებით გამოყენების რისკი მინიმუმამდე შემცირდეს.

ბიბლიოგრაფია:

1. Aminjonov, F. Abylkasymova, A. Aimée, A. Eshchanov, B. Moldokanov, D. Overland, I & Vakulchuk, R. (2019) BRI in Central Asia: Overview of Chinese Projects. Central Asia Regional Data Review. OSCE.

2. Bitabarova, G. A. (2019). Unpacking Sino-Central Asian engagement along the New Silk Road: a case study of Kazakhstan. Journal of Contemporary East Asia Studies.

3. Chen, S, M. (2019) China's Data Collection on US Citizens: Implications, Risks, and Solutions. Journal of Science Policy & Governance.

4. Civil Georgia. (2009) Ex-PM, Romanian Billionaire Buy Peoples Bank. ბმული

5. European Bank for Reconstruction and Development. (n.d.) Georgian Financial Sector F/W: Basis Bank. EBRD Project Summary Documents. ბმული

6. Hoffman, S. (2019) Engineering global consent. Policy brief Report No. 21/2019 The Chinese Communist Party's data-driven power expansion.

7. ISET Policy Institute. (2015) Strengthening Institutional Capacity to Compile and Analyze Financial Soundness Indicators for Investment Climate Assessment. ბმული

8. Mckune, C. (2017) Serge Belamant, Sassa and the 'war chest' of poor people. Mail&Guardian. ბმული

9. Ovsyaniy, K. (2023) Investigation: CCTV System Could Give Moscow A Prying Eye On Ukraine. RadioFreeEurope. ბმული

10. Peterson, D. (2021) How China harnesses data fusion to make sense of surveillance data. Brookings. ბმული

11. South African Social Security Agency and Another v Minister of Social Development and Others (CCT48/17) [2018] ZACC 26; 2018 (10) BCLR 1291 (CC) (2018). Constitutional Court of South Africa. ბმული

12. Strategeast. (2017) European Financial Group takes control over the third largest bank in Georgia. ბმული

13. UzDaily.uz. (2021) It is proposed to determine the bank for the issuance of pensions and benefits in Uzbekistan based on the results of the tender. ბმული

14. Wamboye, F. E. (2023) China's Finance in Tanzania. Journal of African Development (2023) 24 (2): 253–283.

15. აბაშიძე, მ. (2021) საქართველოს საკრედიტო ბაზარი და მისი მონაწილეები. ბმული

16. ბაზისბანკი. (2026) ჰოლდინგის შესახებ: ისტორია. ბმული

17. ლიბერთი ბანკი. (2022) ლიბერთი ბანკისთვის დიდი პასუხისმგებლობა და პატივია უნიკალური ინფრასტრუქტურით მოვემსახუროთ სოციალური გასაცემლების მიმღებ პირებს. ბმული

18. საქართველოს ეროვნული ბანკი. (2025) სს „ლიბერთი ბანკი" - ემისიის პროსპექტი. გვ 9-10, 70.

19. საქართველოს საფონდო ბირჟა. (2026) არასაბირჟო გარიგებები. ბმული

20. ტყეშელაშვილი, შ. (2026) რა ზომისაა და საბანკო სექტორის რა წილს დაიკავებს "ბაზისბანკი", რომელმაც "ლიბერთი" იყიდა. ბმული